

საკრედიტო პროდუქტების გადავადების პირობები

1. შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სს „ლიბერთი ბანკის“ (ს/ნ 203828304) (შემდგომში - **ბანკი**) კლიენტებისათვის, **საკრედიტო პროდუქტებზე** გადახდების გადავადების პირობებს (შემდგომში - **გადავადების პირობები**). წინამდებარე დოკუმენტში მითითებული **გადავადების პირობებით** განსაზღვრულ პერიოდში, **ბანკსა** და **კლიენტს** შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის და **საკრედიტო პროდუქტის** გადასახდელების გადავადების პირობები განისაზღვრება წინამდებარე **გადავადების პირობების** შესაბამისად.

1.2. **გადავადების პირობები** წარმოადგენს **ბანკის** „კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“, „საკრედიტო ბარათის პირობების“, „სოციალური სარგოს მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების პირობების“ და **ბანკის კლიენტ ფიზიკურ პირებთან ან/და ინდ მეწარმე ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ყველა სხვა საკრედიტო ხელშეკრულების** დანართს.

1.3. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე **გადავადების პირობებში** გათვალისწინებული პირობები, ტარიფები ან/და სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და შესაბამის **კანონმდებლობასთან**.

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.2. **გადავადების პერიოდი** - 3 (სამი) თვიანი ვადა, რომელიც ემატება შესაბამისი **საკრედიტო პროდუქტის** მოქმედების (სრულად დაფარვის) იმ ვადას, რაც ძალაში იყო წინამდებარე **გადავადების პირობების** ამოქმედებამდე.

2.3. **კლიენტი ან მსესხებელი** - ფიზიკური ან/და ინდ. მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვადასხვა საშუალებით (მათ შორის და არამარტო **ბანკის** ფიზიკური მომსახურების ობიექტების ან/და ელექტრონული არხების მეშვეობით) წარდგენილი განაცხადის საფუძველზე ან **საკრედიტო ხელშეკრულების** ხელმოწერით ეთანხმება **საკრედიტო პროდუქტით** სარგებლობის პირობებს, წარმოადგენს **საკრედიტო ხელშეკრულების მხარეს** და არის **საკრედიტო პროდუქტის** თანხის მიმღები.

2.4. **საკრედიტო პროდუქტი** - **ბანკის** საკრედიტო პროდუქტი, რომელიც გაიცემა **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში **კლიენტზე**, **ბანკის** შეხედულებისამებრ, **კლიენტის** მიმართვის საფუძველზე, ხოლო თავის მხრივ **კლიენტი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **საკრედიტო პროდუქტის** თანხა, გადაიხადოს **საკრედიტო პროდუქტთან** დაკავშირებული გადასახდელები და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. წინამდებარე **გადავადების პირობების** მიზნებისთვის, **საკრედიტო პროდუქტებში** იგულისხმება მხოლოდ **გადავადების პირობების 3.2. პუნქტით** განსაზღვრული საკრედიტო პროდუქტები;

2.5. **საკრედიტო ხელშეკრულება** - **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი განაცხადის (როგორც ელექტრონული, ასევე არაელექტრონული), გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების (ასეთის არსებობისას), ხელშეკრულების თავსართის (ასეთის არსებობისას), შემადგენელი ხელშეკრულების (ასეთის არსებობისას), სტანდარტული პირობების ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ის, დანართ(ებ)ის, მათ შორის წინამდებარე **გადავადების პირობების** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.6. **საშელავათო პერიოდი** - დროის მონაკვეთი 2020 წლის 13 მარტიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით, რომლის განმავლობაშიც **კლიენტი** არ იხდის **საკრედიტო პროდუქტზე** დარიცხულ პროცენტს და საკომისიოებს, ასევე **საკრედიტო პროდუქტის** ძირითად თანხას, თუ **გადახდის პირობებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. საკრედიტო პროდუქტის გადავადების პირობები

3.1. 2020 წლის 16 მარტიდან, **ბანკის** ყველა იმ კლიენტს, რომელსაც მიღებული აქვს **საკრედიტო პროდუქტი** (არ მოიცავს **საკრედიტო პროდუქტის** აუთვისებელ ნაწილს) 2013 წლის 13 მარტამდე, არ გააჩნია 30 (ოცდაათი) დღეზე ხანგრძლივი შეუსრულებელი ფულადი ვალდებულება ნებისმიერი ფინანსური ორგანიზაციიდან მიღებულ რომელიმე საკრედიტო პროდუქტზე, მასთან დაკავშირებული საკრედიტო დოკუმენტაცია არ არის გადაცემული

პრობლემური კრედიტების მართვის შესაბამის სამსახურს და 2020 წლის 13 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდში უწყევს **საკრედიტო პროდუქტზე** გადახდის შესრულება, ასეთ გადასახდელზე გავრცელდება **საშელავათო პერიოდი**.

3.2. **საკრედიტო პროდუქტის** გადასახდელზე **გადავადების პირობები** ვრცელდება ფიზიკურ პირებსა და ინდ-მეწარმე ფიზიკურ პირებზე გაცემულ, არაუზრუნველყოფილი ან/და უზრუნველყოფილი ტიპის, შემდეგ **საკრედიტო პროდუქტებზე**:

- სამომხმარებლო სესხი
- იპოთეკური სესხი
- ოვერდრაფტი
- საკრედიტო ბარათები
- განვადება
- სოციალური სესხები (საპენსიო, ოვერდრაფტი, სოციალური ავანსი, დევენილის სესხები)
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სამეწარმეო სესხები
- ოქროთი უზრუნველყოფილი სესხი
- ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხი

3.3. **გადავადების პირობები** არ ვრცელდება:

- დეპოზიტით ან/და ბანკის შიდასაბანკო ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ სესხებზე;
- სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პროექტების ფარგლებში გაცემულ კრედიტებზე - „შელავათიანი აგრო კრედიტი“ და „აწარმოე საქართველოში“.

3.4. **საკრედიტო პროდუქტზე გადავადების პირობები** ავტომატურად ვრცელდება **ბანკის** იმ **კლიენტებზე**, რომლებიც წარმოადგენენ ფიზიკურ ან/და ინდ. მეწარმე ფიზიკურ პირებს და სარგებლობენ **გადავადების პირობებით** განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე **საკრედიტო პროდუქტით**. **გადავადების პირობები** ავტომატურად გავრცელდება **კლიენტის** ყველა **საკრედიტო პროდუქტზე** გარდა 3.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ თუ **კლიენტი** სარგებლობს ერთზე მეტი **საკრედიტო პროდუქტით**, **კლიენტს** უფლება აქვს ისარგებლოს **გადავადების პირობებით** მხოლოდ ყველა **საკრედიტო პროდუქტთან** და არა რომელიმე მთავანის ან რამდენიმესთან მიმართებაში.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** არ სურს **საკრედიტო პროდუქტთან** გადასახდელის შეტანის ვალდებულების გადავადება, იგი უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს**, მათ შორის დისტანციური არხების ((ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან ქოლ-ცენტრის, ATM (ბანკომატების)) მეშვეობით და დააფიქსიროს რომ არ სურს გადასახდელის გადავადება, არაუვიანეს 2020 წლის 25 მარტისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ **საკრედიტო პროდუქტებზე** ავტომატურად გავრცელდება **გადავადების პირობები**.

3.6. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** 2020 წლის 25 მარტის შემდეგ გადაწყვეტს, რომ აღარ სურს სრულ პერიოდზე (3 თვე) შეღავათი, **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკს** მათ შორის დისტანციური არხების (ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან ქოლ-ცენტრის) მეშვეობით იმისთვის, რომ მოხდეს მხარეთა შეთანხმება გადახდის გრაფიკის ცვლილებასთან დაკავშირებით.

3.7. **გადავადების პირობებით** სარგებლობის შემთხვევაში:

3.7.1 **საკრედიტო პროდუქტებზე**, როგორც წესი, გავრცელდება **საშელავათო პერიოდი** და **გადავადების პერიოდი** თუ **გადახდის პირობებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

3.7.2 **საშელავათო პერიოდის** განმავლობაში **კლიენტი** არ გადაიხდის **საკრედიტო პროდუქტის** ძირითად თანხას, დარიცხულ პროცენტს და საკომისიოებს, იმის მიუხედავად, რომ მოცემულ პერიოდში არ შეჩერდება და გაგრძელდება პროცენტის და საკომისიოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარიცხვა;

3.7.3 **კლიენტს** არ დაერიცხება წინსწრების (ვადაზე ადრე დაფარვის) საკომისიო **საკრედიტო პროდუქტის** ძირითადი თანხის იმ გადახდებისთვის, რომელიც მან განახორციელა **საშელავათო პერიოდის** განმავლობაში, თუ **კრედიტის** შესამცირებელი თანხა არ აღემატება **გადავადების პირობებით** სარგებლობამდე **საშელავათო პერიოდის** შესაბამის თვეს კონკრეტული **საკრედიტო პროდუქტისთვის** განსაზღვრულ ძირითადი თანხის დაფარვის ოდენობას. გაუგებრობის გამოსარიცხად ეს პირობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც **კლიენტი** პირდაპირ ან ირიბად (სხვა პირის მეშვეობით) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან მიღებული საკრედიტო პროდუქტის საშუალებით ახორციელებს **საკრედიტო პროდუქტის** წინსწრებით შემცირებას.

3.7.4 **საშელავათო პერიოდის** გასვლის შემდგომ:

(ა) **საკრედიტო პროდუქტის** დაფარვის ინტერვალები (ყოველთვიური, ყოველკვარტლური და ა.შ) დარჩება უცვლელი იმ დათქმით, რომ შესაბამისი **საკრედიტო პროდუქტის** სრულად დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ **საკრედიტო პროდუქტისთვის** განსაზღვრულ **გადავადების პერიოდის** ვადას;

(ბ) **საკრედიტო პროდუქტის** სრულად დაფარვის ვადა გაიზრდება იმ პერიოდით (შემდგომში - **გადავადების პერიოდი**), რაც საჭიროა შესაბამისი დაფარვის ინტერვალებით **კრედიტის** სრულად დასაფარად იმ დათქმით, რომ შესაბამისი **საკრედიტო პროდუქტის** სრულად დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ **საკრედიტო პროდუქტისთვის** განსაზღვრულ **გადავადების პერიოდის** ვადას;

(ბ) **საშელავათო პერიოდში საკრედიტო პროდუქტზე** დარიცხული პროცენტი და საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასაფარი ძირითადი თანხა გადანაწილდება **საკრედიტო პროდუქტის** მოქმედების პერიოდზე (მოიცავს **გადავადების პერიოდსაც**) ისე, რომ შესაბამისი დაფარვის ინტერვალებით განსაზღვრული გადასახდელების (შენატანების) ოდენობა არ გაიზრდება იმის მიუხედავად, რომ თითოეული შენატანის **საკრედიტო პროდუქტის** ძირითადი თანხის, დარიცხული პროცენტის და საკომისიოების პროპორცია შეიცვლება;

(დ) **გადავადების პერიოდში საკრედიტო პროდუქტის** ძირითადი თანხის ნაშთს დაერიცხება პროცენტი და საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ **საკრედიტო პროდუქტის** დარიცხული პროცენტის და საკომისიოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყველა გადასახდელების ჯამური ოდენობა გაიზრდება.

3.7.5 თუ **საკრედიტო პროდუქტი** გაცემულია გადახდისუნარიანობის ანალიზის (ოქროთი უზრუნველყოფილი სესხი, ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხი) გარეშე და მისი სრულად დაფარვის ვადა არ აღემატება ერთ თვეს, **საშელავათო პერიოდში საკრედიტო პროდუქტზე** დარიცხული პროცენტი და საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაემატება **საკრედიტო პროდუქტის** ძირითად თანხას (კაპიტალიზაცია) და მათ (ძირითად თანხას + **საშელავათო პერიოდში** დარიცხული პროცენტები და საკომისიოები) ჯამურ ოდენობას დაერიცხება პროცენტი **გადავადების პერიოდში**. კლიენტის მიერ **ბანკისთვის** მიმართვის (მათ შორის დისტანციური არხების: ინტერნეტ ბანკინგის/მოზაილ ბანკინგის ან ქოლ-ცენტრის მეშვეობით) საფუძველზე **გადავადების პერიოდში** შესაძლებელია ასეთ **საკრედიტო პროდუქტზე** გადახდის ინტერვალები განისაზღვროს ყოველთვიური ანუიტეტის (ძირითადი თანხის, დარიცხული პროცენტის და საკომისიოების გადახდა ყოველთვიურად თანაბარწილებად) პრინციპით.

3.7.6 საკრედიტო ბარათებთან მიმართებაში - **საშელავათო პერიოდში კლიენტი** ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული მინიმალური შენატანის გადახდა, მაგრამ ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის **კლიენტს** არ დაერიცხება პირგასამტეხლო და არ შელუდავს მას ისარგებლოს ამ **საკრედიტო პროდუქტის** აუთენტიკაციის ლიმიტით და უპროცენტოდ სარგებლობის პირობით. ამასთან, საკრედიტო ბარათებზე არ გავრცელდება **გადავადების პერიოდი**.

3.7.7 ოვერდრაფტებთან მიმართებაში - **საშელავათო პერიოდში 2020 წლის 13 მარტამდე საკრედიტო პროდუქტზე** დარიცხული პროცენტი **კლიენტმა** უნდა გადაიხადოს 2020 წლის 5 ივნისამდე, ხოლო 2020 წლის 13 მარტის შემდგომ დარიცხული პროცენტის დაანგარიშების თარიღი იქნება 2020 წლის 9 ივნისი, რაც გულისხმობს, რომ ამ თარიღიდან (2020 წლის 9 ივნისიდან) 27 (ოცდაშვიდი) დღის განმავლობაში, **კლიენტი** ვალდებული იქნება განახორციელოს შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული მინიმალური შენატანის გადახდა. ამასთან, ოვერდრაფტებზე არ გავრცელდება **გადავადების პერიოდი**.

3.7.8 **კლიენტი** ადასტურებს და ეთანხმება, რომ **ბანკის** მიერ ზემოაღნიშნული პირობების დაცვით შედგენილ **საკრედიტო პროდუქტების** გადახდის გრაფიკებს, ასევე **ბანკის** ვებ-გვერდზე ან/და **ბანკის** სხვა საინფორმაციო წყაროებში/არხებში განთავსებულ და **ბანკის** მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის **ბანკის** მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია **ბანკის** დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა **საკრედიტო ხელშეკრულებებით** გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

4. გარდამავალი დებულებები

5.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **ბანკსა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული, შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულების** დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

5.2. წინამდებარე **გადავადების პირობებსა** და **ხელშეკრულების** (მათ შორის ძირითადი ხელშეკრულების, სტანდარტული პირობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დანართის) პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, **საკრედიტო პროდუქტებზე** გადასახდელებს (ებ)ის გადავადების რეგულირებისას უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე პირობებს.

- 5.3. თუ წინამდებარე პირობების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.
- 5.4. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე გადავადების პირობების ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კლიენტს ბანკის საინფორმაციო საშუალებების (ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა საშუალების) მეშვეობით.
- 5.5. ბანკის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება (რაც მოიცავს გარანტიების დარღვევის და შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ უფლებებსაც) არ ნიშნავს იმას, რომ ბანკი უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოუყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენებაზე უარის თქმას.
- 5.6. პირობები შედგენილია ქართულ ენაზე.